Federal Foreign Office

WECF

RCDA RURAL COMMUNITIES DEVELOPMENT AGENCY

განახლებადი ენერგიის და კლიმატის ცვლილების საშემოდგომო სკოლა

განცხადება - მონაწილეთა შესარჩევად

2014 წლის 5-13 დეკემბერს, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA) და ევროპის ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) მოწვეული ექსპერტების და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით ახალაგაზრდებისათვის აწყობს საშემოდგომო სკოლას თემაზე „განახლებადი ენერგია და კლიმატის ცვლილება“.

სკოლის მონაწილეები გაიღრმავებენ ცოდნას შემდეგ საკითხებზე: კლიმატის ცვლილება, განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, გენდერი და ენერგია, NAMA(ეროვნულად მისაღები შერბილების და ადაპტაციის პროგრამა), მზის კოლექტორების ტექნიკური ფუნქციონირება, აგება, მონტაჟი, გამოყენება, მოვლა და მონიტორინგი; ტრენინგი შედგება თეორიული ლექციებისგან, ინტერაქტიური სესიებისგან და ჯგუფური სამუშაოსგან. ტრენინგის დროს მონაწილეები ააგებენ ადგილობრივი მასალებისგან 2 მზის წყლის გამაცხელებელს. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მზის წყლის გამაცხელებლის / კოლექტორის აგების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ აქ ქართულ და აქ ინგლისურ ენებზე

ტრენინგის შემდეგ, მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ :

1. ცნობიერების ამაღლების ტრენინგის ჩატარება თავიანთ თემებში
2. თემის 10 წარმომადგენელთან გამოკითხვის ჩაატარება
3. ტრენინგების შედეგების შესახებ მოკლე ანგარშის მომზადება და ინფორმაციის მიწოდება ორგანიზატორებისათვის

ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კვებით და აუნაზღაურდებათ მგზავრობის ხარჯები

იმათ, ვინც დაეუფლებიან სათანადო უნარ-ჩვევებს და გააჩნიათ ინტერესი, მომავალში ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ პროექტებში სამიზნე რეგიონებში.

ახალგაზრდებს (ასაკი 16-26) ახალციხიდან, ხობიდან, ხონიდან, მცხეთიდან და საგარეჯოდან ტრენინგში მონაწილეობისთვის შეუძლიათ შეავსონ სააპლიკაციო ფორმა.სააპლიკაციო ფორმის გადმოწერა შესაძლებელია ბმულიდან. აპლიკაციის შემოტანის ბოლო ვადაა 28 ნოემბერი, 2014 წელი.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები:

- ტრენინგში მონაწილეობის მოტივაცია
- უნარ-ჩვევები და პროფესიული განათლება

- რეგიონალური მრავალფეროვნება მხედველობაში იქნება მიღებული
- ორგანიზატორების სურვილია 50% ქალების ჩართვა

ტრენინგი ტარდება პროექტის „ახალგაზრდები, როგორც ინფორმაციის გაზიარების აგენტები კლიმატის ცვლილებასა და ენერგიაზე სასოფლო თემებში“ და დაფინანსებულია გერმანიის ფედერალური ოფისისა და ევროკომისიის მიერ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA)
ნინო გამისონია
ტელ: +995 599 548 292
ელ.ფოსტა: ngamisonia@gmail.com

ევროპის ქალები საერთო მომავლისათვის
იდა ბახტურაძე
ტელ: +995 557 588 917
ელ.ფოსტა: Ida.bakhturadze@wecf.eu

www.wecf.eu